



სულხან-საბა ორბელიანის

უნივერსიტეტი

თბილისი

01 სექტემბერი 2021 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №142-21

2021–2022 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში მაგისტრატურაში მიღების ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ ბრძანებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის, მე-5 პუნქტის, 5.3 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2021 წლის 05 აპრილის № 03-21 საოქმო გადაწყვეტილებით), „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების 29-ე მუხლის საფუძველზე, უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის დებულების“ მე-5 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

- 2021–2022 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში მაგისტრატურაზე მიღება ცხადდება 2-ჯერ. გამოცდები უცხო ენასა და სპეციალობაში როგორც წესი ჩატარდება ერთსა და იმავე დღეს.
- მაგისტრატურაში ჩარიცხვის ვადები განსაზღვრულია შემდეგი სახით:
 - პირველ ჯერზე მაგისტრანტობის კანდიდატთა საბუთების მიღება (რეგისტრაცია) – 16 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით;
 - ტესტირება უცხო ენაში (იმ საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებსაც მოეთხოვებათ უცხო ენის ჩაბარება) და სპეციალობაში – 4 სექტემბერი, 6 სექტემბერი და 7 სექტემბერი;
 - გამოცდა სპეციალობაში (გასაუბრება) - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე - 6 სექტემბერი; თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე - 6 და 7 სექტემბერი; ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე - 7 სექტემბერი.
 - გამოცდის/ტესტირების შედეგების გამოქვეყნება - 9 სექტემბერი;
 - აპელაციაზე განცხადებები მიღება - 10 სექტემბერი 12:00 საათიდან 17:00 საათამდე დროის მონაკვეთში.
 - აპელაციის განხილვა და შედეგების გამოცხადება - 10 სექტემბერი 19:00 საათამდე.

- ხელშეკრულების დადება მაგისტრანტობის კანდიდატებთან - 10-13 სექტემბერი.
- მეორე ჯგერზე მაგისტრანტობის კანდიდატთა საბუთების მიღება (რეგისტრაცია) – 8 სექტემბერიდან 10 სექტემბრის ჩათვლით.
- ტესტირება უცხო ენაში (იმ საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებსაც მოეთხოვებათ უცხო ენის ჩაბარება) და სპეციალობაში – 13 და 14 სექტემბერი.
- გამოცდის/ტესტირების შედეგების გამოქვეყნება - 15 სექტემბერი.
- აპელაციაზე განცხადებების მიღება – 16 სექტემბერი 12:00 საათიდან 17:00 საათამდე დროის მონაკვეთში.
- აპელაციის განხილვა და შედეგების გამოცხადება – 16 სექტემბერი 19:00 საათამდე.
- ხელშეკრულების დადება მაგისტრანტობის კანდიდატებთან - 16-18 სექტემბერი
- ჩარიცხვის ბრძანების მომზადება - 20 სექტემბერი.
- მაგისტრანტობის კანდიდატი რეგისტრაციისათვის ავსებს სარეგისტრაციო განაცხადს ადგილზე ან ელექტრონული ფორმით: https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSdk-94ehA9aFIClsb2Z5k1KrPTPMinLG9kUf2teOMRIO_11Ug/viewform
- გამოცდების შედეგების საფუძველზე, ხელშეკრულების დადებამდე წარმოსადგენ დოკუმენტაციად განისაზღვროს დოკუმენტაციის შემდეგი ნუსხა:
 - ფოტოსურათი (3X4) – ბეჭდური 1 ცალი და ელექტრონული ვერსია CD-ზე;
 - ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
 - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

შენიშვნა: მაგისტრანტობის კანდიდატისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოების გამო ბაკალავრის დიპლომის და დიპლომის დანართის წარდგენის უძლებლობის შემთხვევაში წარსადგენია უსდ-ის მიერ გაცემული ცნობა ბაკალავრიატის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის შესახებ იმ პირობით, რომ მაგისტრანტობის კანდიდატი ჩარიცხვის სემესტრის დასრულებამდე უნივერსიტეტში წარმოადგენს დიპლომს.

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი დედნის წარმოდგენით;
- სამაგისტრო საგამოცდო ბარათის ასლი დედნის წარმოდგენით;
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);